შეფასების სქემა ლაპარაკის ნაწილისთვის / მასწავლებლები

მაქსიმალური ქულა 16. მოთხოვნილი დონე B2

ქულა	გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული სიზუსტე და მრავალფეროვნება	წარმოთქმა
4 **ძალიან კარგი**	ლაპარაკობს ძალიან კარგად, თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პასუხების გარეშე. დროს იყენებს სრულად.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს. შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი - თანმიმდევრული, შეცდომების რაოდენობა მინიმალურია.
3 **კარგი**	ლაპარაკობს კარგად. პასუხები არგუმენტირებულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	ბგერები, უმეტესწილად, სწორია. მახვილი, ინტონაცია და რიტმი უმეტეს შემთხვევაში,- თანმიმდევრულია.
2 **საშუალო**	ლაპარაკობს საშუალოდ. პასუხი, ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა ერთფეროვანი და უმეტესწილად, , მარტივი და/ან განმეორებადია. შეცდომები თვალშისაცემია.	იყენებს, უმეტესწილად, მარტივ გრამატიკულ სტრუქტურებს; სტრუქტურები მეორდება. შეცდომები თვალშისაცემია. უშვებს შეცდომებს სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში.	ბგერები, მახვილი, და წარმოთქმის სხვა ელემენტები, უმეტესწილად, არ არის სწორი.
1 **საშუალოზე დაბალი**	ლაპარაკობს ცუდად. დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი მოკლე, წყვეტილი ან არალოგიკურია; პასუხები არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია; ლექსიკური შეცდომები ხშირია.	იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან სტრუქტურებს გრამატიკული შეცდომები ხშირია. სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში დაშვებული შეცდომები სისტემურია.	წარმოთქმის შეცდომები სისტემურია.
0 **ცუდი**	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან დუმს.	სახეზეა სრულიად შეუსაბამო ლექსიკა. ან: აზრის გაგება შეუძლებელია.	სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და დავალებასთან შეუსაბამო სიტყვები.	სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს.